სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

49661301071424

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“ - ს წევრთა საერთო (განმეორებითი) კრების ოქმი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240167732

რეგისტრაციის თარიღი

13.02.2024 წ

ნოტარიუსი: მარიკა გოგოლაძე
მისამართი: საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N183
ტელეფონი: marikagogoladze@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის"

საერთო კრების (განმეორებითი) ოქმი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდათერთმეტ იანვარს 10:00 საათზე მე, საქართველოს ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე, დავესწარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი კომპანია ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია" - ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406350112 რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 17/12/2021 მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N 101ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი B24000331, 05/01/2024 13:19:54) საერთო (განმეორებითი) კრებას მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 118 (გამოფენა ექსპო ჯორჯია) პავილიონი N3. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის" (ს/კ 406350112) წევრთა საერთო კრება (განმეორებითი) დანიშნული იყო 10^{00} საათზე. კრებას თავმჯდომარეობდა ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის (ს/კ 406350112) თავმჯდომარე, გიორგი გულიაშვილი (პ/ნ 01029007510). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი კომპანია ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია" - ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406350112 რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 17/12/2021 მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N 101) საერთო (განმეორებითი) კრება გახსნა და დამფუძნებელ და ასოცირებულ წევრებს მიესალმა ააიპ „საქართველოს მწარმოებლის

გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია" - ს წევრთა კრების მოწვევის ინიციატორი, ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია" - ს თავმჯდომარე, გიორგი გულიაშვილი (დაბ. 19.05.1981წ. თბილისი, მისამართი: თბილისი მნათობის ქ. N 36, პ/ნ01029007510. 20IG01143 გაც. 10.10.2022წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ) , რომელმაც კრებას (განმეორებითი) მოახსენა, რომ (განმეორებითი) კრება მოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კავშირის მოქმედი წესდების მოთხოვნათა სრული დაცვით. მან ასევე განმარტა, რომ (განმეორებითი) კრება უფლებამოსილი იყო შესდგომოდა მუშაობას და მიეღო გადაწყვეტილებები.ორი ათას ოცდაოთხი წლის ოც იანვარს ქვორუმის არარსებობის გამო ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის (ს/კ 406350112) საერთო კრება ჩაშლილად გამოცხადდა, მისი მოწვევის დღე გამოცხადდა ხელმეორედ, რის შესახებაც, ასოციაციის წევრებს ეცნობათ წერილობით. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"-ს (შემდგომში-ასოციაცია) წესდების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის შესაბამისად, მე-11 მუხლის 11.10 პუნქტის 11.10.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტის, ასოციაცის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში „მგვ ორგანიზაციად" ავტორიზაციის შედეგად, დამტკიცებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიური სქემის გათვალისწინებით, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული შემდეგი ნარჩენის/ნარჩენების მიმართულებაზე: 1. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები; 2. ზეთები; 3. საბურავები და 4. ბატარეები და აკუმალუტორების ახალი რეციკლირების გადასახადის ოდენობების განხილვა-დამტკიცება.

კრების დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"-ს (ს/კ 406350112) წესდების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის შესაბამისად, მე-11 მუხლის 11.10 პუნქტის 11.10.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.
2. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"-ს (ს/კ 406350112) წესდების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის შესაბამისად, მე-11 მუხლის 11.10 პუნქტის 11.10.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ასოციაციის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ავტორიზაციის შედეგად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიურ სქემაში ჩართვის გათვალისწინებით, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული შემდეგი ნარჩენის/ნარჩენების (ელექტრო და

ელექტრონული მოწყობილობები/ზეთები/ბატარეები და აკუმულატორები/საბურავები) მიმართულებაზე ახალი რეციკლირების გადასახადის ოდენობების დამტკიცება.

კრებამ განიხილა კრების თავმჯდომარის მოხსენება:

კრების თავმჯდომარემ გახსნა სხდომა მისალმებით და დამსწრეებს გააცნო დასამტკიცებელი დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები, რა დროსაც ჩატარდა პრეზენტაცია, სადაც თავმჯდომარემ ისაუბრა, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა ასოციაციის მიერ 2023 წელს და რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს 2024 წელს. ასოციაციამ განიცადა ბრენდინგი. ასოციაციის ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას, ნარჩენთან მოპყრობის ცნობიერების ამაღლების კუთხით, რომელიც ხელს შეუწყობს ასოციაციის მიზნებს და ამოცანებს. ასევე თავმჯდომარემ ისაუბრა ნარჩენების შესაგროვებელი ცენტრების/პუნქტების მოწყობის შესახებ. ამასთან წევრებს მოახსენა ასოციაციის საქმიანობის განხორციელების უკეთ უზრუნველსაყოფად დონორებთან კომუნიკაციის შესახებ. ისაუბრა დანერგილი რეფორმის ფარგლებში, აღმოჩენილი საკანონმდებლო ხარვეზების ირგვლივ და ასოციაციის საქმიანობის ხელშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით, შავი ბაზარის უარყოფით როლზე და სხვა უარყოფით ფაქტორებზე. ისაუბრა ნარჩენების ჩამოწერის განახლებულ პროცესზე (განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ასოციაციის მხრიდან სახელმწიფო სტრუქტურებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგია) და მის მნიშვნელობაზე, სამიზნე მაჩვენელსა და ასოციაციის მიერ შეგროვებულ ნარჩენების რაოდენობაზე. ასევე ისაუბრა წევრებთან კომუნიკაციის გამარტივების საშუალებებზე ვებ-გვერდის მეშვეობით, სამომავლო გეგმებზე, როგორია უცხოეთის გამოცდილება ნარჩენების მართვის სფეროში და ბრიუსელში განხორციელებული ვიზიტის შესახებ. 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა, რომელიც დაიგეგმა ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების და იმ მიზნობრივი მაჩვენებლის ამოღების გათვალისწინებით, რომელიც განპირობებულია ასოციაციის წევრების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაბამისად თუ რას უნდა მოხმარდეს ბიუჯეტის სახსრები და ასევე დასამტკიცებელ 2024 წლის ბიუჯეტს დაემატა და შესაბამისად კრებაზე დაკორექტირდა ბიუჯეტის პროექტი, 2023 წლის ბიუჯეტიდან გაუხარჯავის თანხებით. ასევე შეეხო რეციკლირების გადასახადის დამტკიცების საკითხს, ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული ოთხივე მიმართულებით, ნარჩენების დიფერენცირების გათვალისწინებით. ვინაიდან წარმოდგენილი ბიუჯეტი განსაზღვრულია კალენდარული წლის ჭრილში 2024 წლის 01 იანვრიდან - 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 2024 წლის ბიუჯეტით პირველი თვის - იანვრის თვის რეციკლირების გადასახადი დაანგარიშდება

2023 წლისთვის დადგენილი ტარიფით, ხოლო 2024 წლის 01 თებერვლიდან უკვე ახალი დამტკიცებული ტარიფით.
კრების ჩატარების დროში გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმი, კერძოდ კი:

შპს „საქაერონავიგაციის" წარმომადგენლის ნინო ჯიბუტის შეკითხვაზე:

რატომ არ მოხდა გრადაცია სხვა მიმართულებებით აკუმულატორზე და ზეთებზე?

ასოციაციის თავმჯდომარის მიერ გაეცა პასუხი: გრადაცია მოხდა წევრების მოთხოვნიდან გამომდინარე და ძირითადად იყო თხოვნა ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებზე და ბატარეებზე აკუმულატორების და ზეთების მიმართულებით ესეთი მოთხოვნები არ დაფიქსირებულა და შესაბამისად არ განხორციელდა გრადაციის მიხედვით რეციკლირების გადასახადის წარმოდგენა ამ ნარჩენის მიმართულებებზე.

შპს „საქაერონავიგაციის" წარმომადგენელმა ნინო ჯიბუტმა მადლობა გადაუხადა ასოციაციას აღნიშნული საქმიანობის წამოწყებისთვის და დასვა ასევე შეკითხვა:

სოფლად ხშირია მეორადი გამოყენებული ზეთების მოხმარება სოფლის მეურნეობის სფეროში არაფუნქციური წესით და ძალიან მნიშვნელოვანია სოფლებშიც განხორციელდეს ცნობიერების ამაღლება, რათა უფრო წინ წავიდეს და სწორად განხორციელდეს ნარჩენების მართვის პროცესები.

ასოციაციის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა შეკითხვის გამო და გასცა შემდეგი პასუხი: აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს რა შედეგებთან გვაქვს საქმე, ვინაიდან მეორადი გამოყენებული ზეთი შეიცავს სახიფათო ელემენტებს და გეთანხმებით აუცილებელია ცნობიერების ამაღლება და საჭიროა ამ კუთხით შესაბამის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა, ასევე მასმედიის საშუალებების გამოყენება, რომ გავაცნოთ მოსახლეობას ალტერნატიული სწორი გზები, ნარჩენის მოპყრობისა და შემდგომი გადამუშავებისთვის.

ასევე კრებაზე დამსწრე შპს „საქართველოს მაცივარაგენტების შეგროვებისა და რეციკლირების ცენტრის" წარმომადგენელმა სულხან სულაძემ ითხოვა სიტყვა და განმარტა შემდეგი:

რომ წარმოადგენენ ასოციაციის წევრს, იმიტომ რომ ერთხელ შემოიტანეს ხელსაწყო და ამის გამო გახდა ასოციაციის წევრი. პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ასოციაციას თანამშრომლობისთვის და გამოთქვა მზადყოფნა შემდგომი თანამშრომლობისათვის, ასევე აღნიშნა რომ გამკაცრდა კანონმდებლობა, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებში კერძოდ კი მაცივრებსა და კონდიციონერებში არსებული ფრეონის დამუშავებასთან მიმართებაში, რომ თვითონ წარმოადგენენ ამ ორგანიზიციას, ვინც ახორციელებს ამის დამუშავებას და მზად არიან შემდგომი

თანამშრომლობისათვის, ვინაიდან მათი ცენტრი აღჭურვილია ყველანაირი მოწყობილობებით და შეუძლიათ ფრეონის იდენტიფიცირება და 2024 წელს, რომ მოვახდინოთ ამის გატანა საზღვარგარეთ, რათა ასოციაციას არ შეექმნას პრობლემები მის საქმიანობაში.

ასოციაციის თავმჯდომარემ გამომსვლელს გადაუხადა მადლობა და გამოთქვა მზადყოფნა შემდგომი თანამშრომლობისა და შეხვედრისათვის ამ საკითხთან დაკავშირებით. ნებართვიან ორგანიზაციებთან და მოხარული ვიქნებით თუ ჩვენი ურთიერთობა შედგება და უფრო დავახლოვდებით ამ საქმიანობის კუთხით.

კრების გადაწყვეტილება:

განმეორებით კრებაზე რეგისტრირებული იყო წევრების შემდეგი რაოდენობა - 9073 პირი, ხოლო გამოცხადებული და რეგისტრაცია გავლილი დამფუძნებელი და ასოცირებული წევრების საერთო რაოდენობამ შეადგინა 69 პირი, საიდანაც:

ორმა სუბიექტმა გაიარა რეგისტრაცია კრებაზე დასასწრებად და კენჭისყრაში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა.

ხოლო ორმა სუბიექტმა გაიარა რეგიტრაცია კრებაზე დასასწრებად და რეციკლირების გადასახადის დამტკიცების კენჭისყრაში არ მიუღია მონაწილეობა, მაშინ როცა იგივე ორივე სუბიექტმა ბიუჯეტის დამტკიცებას დაუჭირა მხარი.

ბათილად იქნა ცნობილი 18 ბიულეტინი მინდობილობის წარმოუდგენლობის ან/და არასრულყოფილად წარმოდგენის გამო.

- ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი:

დადებითი - 48

უარყოფითი - 1

- რეციკლირების გადასახადის დამტკიცების საკითხი:

დადებითი - 46

უარყოფითი - 1.

კრება შედგა ასოციაციის წესდების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის შესაბამისად და კრების დამსწრე პირთა უმრავლესობის მიერ მიცემული ხმის შედეგად ასოციაციის წესდების მე-11 მუხლის 11.10 პუნქტის 11.10.2 ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდა კრების დღის წესრიგით განსაზღვრული შემდეგი საკითხები:

1. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"-ს (ს/კ 406350112) 2024 წლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"-ს (ს/კ 406350112) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიურ სქემაში ჩართვის გათვალისწინებით, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული შემდეგი ნარჩენის/ნარჩენების ნაკადების: ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები/ზეთები/ბატარეები და აკუმულატორები/საბურავების მიმართულებაზე ახალი რეციკლირების გადასახადი (დანართი 2).

ამით კრებაზე განსახილველი საკითხები ამოიწურა. კრების თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა. კრება დასრულდა 11:24 საათზე ადგილობრივი (თბილისის) დროით. წინამდებარე კრების ოქმი შედგა ნოტარიუსის მიერ ქართულ ენაზე და დამოწმდა სამ ეგზემპლარად. ოქმის ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუსის, მარიკა გოგოლაძის, სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა კრების თავმჯდომარეს.

კრების გადაწყვეტილება და წარმოდგენილი აქტი (მასში ასახული გადაწყვეტილებები), შესაძლებელია გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ან დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1) ოქმის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან დაერთვის:
2) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი B24000331, 05/01/2024 13:19:54;
3) 2024 წელს საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის (მგვ) ბიუჯეტი (დანართი 1)

4) 2024წლის რეციკლირების შენატანები(დანართი 2).

აქტის რეგისტრაციის თარიღი: 13 თებერვალი 2024წ

წინამდებარე აქტი შევადინე მე, ნოტარიუსმა მარიკა გოგოლაძემ.
რეგისტრაცია შესრულდა და კრების ოქმი გავეცი 2024 წლის 13 თებერვალს მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი: **N240167732** კრების თავმჯდომარემ, ჩემი თანდასწრებით წაიკითხა წინამდებარე ოქმი, განაცხადა რომ ოქმი ზუსტად ასახავს კრების მიმდინარეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებს, რის შემდეგ, ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე ოქმს.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ხუთასი ლარი და დღგ ოთხმოცდაათი ლარი, + ხუთი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 32, 39 და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლებისა.

კრების თავმჯდომარე

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე

დანართი 2

2024 წლის რეციკლირების შენატანები

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები 1 ტონაზე	90 ლარი
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები 501კგ -1 ტონა	90 ლარი
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები 101 - 500 კგ	50 ლარი
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები 0 - 100 კგ	30 ლარი

ბატარეები 1 ტონაზე	350 ლარი
ბატარეები 501კგ - 1ტონა	350 ლარი
ბატარეები 101 - 500 კგ	150 ლარი
ბატარეები 0 - 100 კგ	60 ლარი

აკუმულატორები - 1 ტონაზე / ტონამდე	300 ლარი

საბურავები - 1 ტონაზე / ტონამდე	120 ლარი

ზეთები - 1 ტონაზე /ტონამდე	120 ლარი

განმარტება - 1 კალენდარული თვის განმავლობაში, 1 ტონაზე მეტ წარმოებულ/იმპორტირებულ პროდუქტზე, რომელზედაც დიფერენციაცია არაა გაკეთებული წონის მიხედვით, შენატანის დაანგარიშება განხორციელდება წარმოებულ/იმპორტირებულ პროდუქტზე დადგენილი რეციკლირების შენატანის პროპორციულად. ხოლო ტონაზე ნაკლების შემთხვევაში, სადაცა დიფერენციაცია არაა გაკეთებული წონის მიხედვით, დაანგარიშება განხორციელდება, ტონის შესაბამისი რეციკლირების გადასახადის სახით.